აბულმუგის ექსპედიცია

2013

ოქტომბერი

არქეოლოგიური სამუშაოს ნებართვის მფლობელი

შ.პ.ს – **„არქეოლოგიური გაერთიანება“**
მისამართი: ჭ. ლომთათიძის ქ. N39
ს/კ: 400087552
დირექტორი – გიორგი გაგიშვილი

არქეოლოგიური სამუშაოების წარმართველი პროფესორი **ვახტანგ ლიჩელი**

არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის ნომერი: **09/12/1262**

არქეოლოგიური სამუშაოების გაცემის თარიღი: **30 სექტემბერი 2013**

სარჩევი

1.0	*ტექნიკური ინფორმაცია*	*3*
2.0	*ანგარიში*	*4*
3.0	*უბანი XVI ნაკვეთი VII*	*7*
3.1	*ქურა N1*	*8*
3.2	*ქურა N2*	*8*
3.3	*ქურა N3*	*9*
4.0	*რეკომენდაცი*	*10*
5.0	*ტაბულები*	*11*

1.0 ტექნიკური ინფორმაცია

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის თანახმად, შპს - არქეოლოგიურმა გაერთიანებამ არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის დასავლეთით 3 კილომეტრის მოშორებით, ადგილ აბულმუგზე. (ტაბ. I) არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა VI, VII, XV, XVI, XVII, XXV, XXVII უბნებზე.

შესწავლილი ტერიტორიის ფართობის GPS კოორდინატები:

წერილის N	კოორდინატები UTM (WGS84)	
	X	Y
1	448602.5	4582320.6
2	448495.5	4581873.6
3	448094.9	4581744.7
4	448217.4	4581617.0
5	448511.5	4581326.3
6	448781.8	4581410.3
7	449139.7	4581789.3
8	449143.6	4581885.0
9	448917.5	4582325.6
ფართობი გეგმაზე 569700 m^2 ჰა		

არეალი მოიცავს მთათა სისტემას, რომელიც აბულმუგის სახელითაა ცნობილი. საკვლევი ფართობი დაყოფილია 5 პირობით გეოლოგიურ ზონად:

საყდრისი 1 – ყაჩაღიანი

საყდრისი 2 – მამულსი

საყდრისი 3 – აღმოსავლეთფოსტის ქედი

საყდრისი 4 – დასავლეთფოსტის ქედი

საყდრისი 5 – კვირაცხოველი

2.0 ანგარიში

შესწავლილი ტერიტორია მოიცავს ე.წ. „ყაჩაღიანი-საყდრისის“ უბნის სამხრეთ-დასავლეთ, დასავლეთ, ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთ მდებარე მთის კალთებსა და ფერდობებს, აგრეთვე საყდრისი 2-ის ფართობის 75%-ს (სულ 57 ჰა). აქ ნიადაგი უმეტესად დაფარულია ხშირი ტყით და ძეძვნარით, ქანები კი, კლდოვანია და დამრეცი. (ტაბ. II)

ყაჩაღიანი-საყდრისის უბნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე საყდრისი 3 და საყდრისი 4-ის ტერიტორიებზე გაითხარა 250 სადაზვერვო თხრილი, რომელთა შორის ტიხრული უღელის პარამეტრები რელიეფის პროფილის შესაბამისად 2 მ-დან 5-6 მ-მდე მერყეობს. თხრილების სიღრმე 5-15 სანტიმეტრია, რადგან ჰუმუსური ფენა ქვემოთ კლდოვანი ქანებია. ტერიტორია მთაგორიანია და სტერილურია, კულტურული ფენა არ დაფიქსირებულა, გარდა უბანი **XVI ნაკვეთი VII**, სადაც გაიწმინდა სამი საწარმოო ქურა(ანგარიში იხილეთ ქვემოთ).

სადაზვერვო თხრილების GPS კოორდინატებია:

X	Y	H
449005	4582728	746
449002	4581752	774
449025	4581716	787
448976	4581772	790
448751	4581469	844
448748	4581474	847
კონტურში მოცემული არეალი თავისუფალია არქეოლოგიური ნაშთებისაგან და შესაძლებელია შემდგომი საწარმოო და სამშენებლო სამუშაოობის დაწყება.		

თხრილები გაიჭრა საყდრისი 2-ისა და ყაჩაღიანი-საყდრისის უბნისყაჩაღიანი-საყდრისის უბნისყაჩაღიანი-საყდრისის უბნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქედის სამხრეთ და დასავლეთ კალთებზე. სამხრეთის კალთა მდებარეობს ნაგავსაყრელის ჩრდილოეთით და დაფარულია ხშირი ძეძვნარით, გაითხარა 150 სადაზვერვო თხრილი, რომელთა ზომებია: 1X1, სიღრმე 5-დან 25სმ. ნიადაგი ძირითადად კლდოვანია, თუმცა გვხვდება ქვიშანარევი (ღორღი) ქანებიც. ტერიტორია სტერილურია. თხრილების კოორდინატებია:

X	Y	H
449052	4582066	766

449076	4582038	760
449138	4582035	745
449188	4582056	750
კონტურში მოცემული არეალი თავისუფალია არქეოლოგიური ნაშთებისაგან და შესაძლებელია შემდგომი საწარმოო და სამშენებლო სამუშაოობის დაწყება.		

მთის ჩრდილო კალთები დაფარულია ხშირი ტყით და ჩადის ე. წ. ურიის ხევამდე. აქ ნიადაგი უფრო რბილია. სიღრმე მერყეობს 5-დან 25-30 სანტიმეტრამდე. თხრილის ზომებია 1X1-ზე. მანძილი თხრილებს შორის რელიეფიდან გამომდინარე 3-დან 7-მ მერყეობს. გაჭრილ იქნა 200 თხრილი. მათი კოორდინატებია:

X	Y	H
448911	4582358	730
448962	4582287	750
448991	4582212	778
448951	4582160	795
კონტურში მოცემული არეალი თავისუფალია არქეოლოგიური ნაშთებისაგან და შესაძლებელია შემდგომი საწარმოო და სამშენებლო სამუშაოობის დაწყება.		

სანაყარე 4-ის ტერიტორია ოქროს საბადოს (საყდრისი 1) ჩრდილო-დასავლეთ მდებარეობს. და ის მოქცეულია 8, 9, 2, 1 კოორდინატთა წერტილებს შორის. ტერიტორიის დიდი ნაწილი გავაკებულია და დაფარულია სხვადასხვა სახის კენკროვანი მცენარეებთან და ხშირი ბუჩქნარით. ადგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით XX ს. 80-იან წლებში ტერიტორია გამოიყენებოდა სანერგე მეურნეობის მიერ და მუშავდებოდა ტრაქტორით, რითაც გამოწვეულია მიწის ზედაპირის ტალღისებური ფორმა. სანაყარე 4-ის ტერიტორია ჩრდილოეთ დამრეც ფერდობს მიუყვება და ჩადის ურიის ხევამდე. გათხრილ იქნა 600 სადაზვერვო თხრილი, რომელთა კოორდინატებია:

X	Y	H
448787	458223	774
448757	4582233	768
კონტურში მოცემული არეალი თავისუფალია არქეოლოგიური ნაშთებისაგან და შესაძლებელია შემდგომი საწარმოო და სამშენებლო სამუშაოობის დაწყება.		

ჰუმუსური ფენის აღების შემდეგ 5-10სმ. ნიადაგი შავია და მისი სიღრმე მერყეობს 20-40სმ. რომელსაც მოსდევს ქვიშანარევი კირქვიანი ნიადაგი. ადგილ-ადგილ გვხვდება კლდოვანი ფენებიც. თხრილებს შორის მანძილი 2-დან 5მ-დეა. სანაყარე ოთახის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში რომლის კოორდინატებია:

X	Y	H
448859	4581988	760
კონტურში მოცემული არეალი თავისუფალია არქეოლოგიური ნაშთებისაგან და შესაძლებელია შემდგომი საწარმოო და სამშენებლო სამუშაეობის დაწყება.		

3.0 უბანი XVI ნაკვეთი VII

სადაზვერვო თხრილის გაჭრის დროს ჰუმუსური ფენის აღების შემდეგ დაფიქსირდა ნაცროვანი ფენა. მიწის ზედაპირიდან 15-20სმ-ზე თხრილის გაფართოებისა და ნაცროვანი ფენის დამუშავების გამოიკვეთა მიწის ზედაპირიდან 50-60სმ-ზე კულტურული ფენა (ძლიერ დაზიანებული). ნაცროვანი ფენის სიმძლავრე თხრილის ცენტრალურ ნაწილში 10-15 სმ-ია. დაახლოებით 1X2მ. და გრძელდება ვიწრო ზოლის სახით თხრილის ჩრდილო-დასავლეთ კიდისაკენ. სიგრძე 150სმ. სიგანე 40-50სმ, სიღრმე – 10სმ. ნაცროვანი ზოლის გამოიკვეთა ნახევრადწრიული (ელიფსური ფორმის ღუმელი) დაზიანებული, თიხით ნაგები და სიმხურვალისგან დამწვარი, რომლის სიგანე 20-30სმ. სიმაღლე – 10სმ. სიგრძე – 15სმ. ღრმული ნაცრითაა ამოვსებული. ღრმულის ბოლოს ზევითკენ აქვს ხვრელი პირის ნაწილიდან 15სმ-ზე. შეიძლება ყოფილიყო სამთო ქურის ნაშთი. რაიმე სახის არტეფაქტი გარდა რამდენიმე გამომწვარი კლდოვანი ფენისა არ დაფიქსირებულა. სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით სადაზვერვო თხრილი გაფართოებულ იქნა დაახლოებით 200მ². ჰუმუსური ფენის აღების შემდეგ დაფიქსირებული იქნა 2 ნაცროვანი ფენა, რომლებიც N1 ფენის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, დაახლოებითი მანძილი ნაცროვან ფენებს შორის 2-დან 3-მეტრამდე მერყეობს. თავდაპირველად გაიწმინდა I და II ნაცროვანი ფენა. საბოლოო გაწმენდისა და პრეპარაციის შემდეგ გამოიკვეთა, რომ საქმე გვაქვს სამთო დანიშნულების ქურებთან. ორივე დაზიანებულია და მიწისზედანაწილი დაზიანებულია. (ტაბ. III)

3.1 ქურა N1

N1 ქურის ზედაპირზე უსისტემოდ ეყარა ქვები, რომლებიც როგორც ჩანს წარმოადგენენ სილიკატური მინარევების შემცველ მადანს, ზოგიერთ მათგანზე აღმოჩნდა გარსშემოვლებული მინისებური მასა, რაც გამოწვეული უნდა იყოს მაღალ ტემპერატურაზე დუღვის შედეგად. (მასალისაგან აღებულია ნიმუშები შემდგომი ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის)

ღუმლის შიდა სივრცეში სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან გაიწმინდა 0,80მ. სიგანისა და 160მ სიგრძის თიხის შემცხვარი მასალა რომელიც სავარაუდოდ ან კედელი ან გადახურვის ნაშთი უნდა ყოფილიყო და ქურის გაუქმების შემდეგ, მოგვიანებით ჩამოწოლილიყო. მისი იატაკი დაწითლებულია ცეცხლისგან, მრავლად გვხვდებოდა ნახშირი და ნაცარი, რაც შეეხება კიდეებს აქ ალაგ-ალაგ შემორჩენილია შელესილობა.

N1 ქურა წრიულია, ის გრუნტშია ჩაჭრილი დაახლოებით 60X80 მ-ით. დიამეტრია 1,90მ. ქურას გარედან ჩრდილო-აღმოსავლეთით კედელთან ხვრელით უერთდება მიწაში ამოჭრილი ღარი (საბურველი თუ სალონარი), რომლის სიგრძე 1-80მ. სიგანე ღრმულის კედელთან – 0,50მ. ბოლოში – 0,30მ. (ტაბ. IV)

3.2 ქურა N2

ქურა N2 გამართულია N1 ქურის ჩრდილო-დასავლეთით 0,70-0,80მ-ში. აქაც ორმოს ზემოდან ეყარა ქვა-მიწა, აქაც პირველის ანალოგიურად ამოდიოდა მინის მაგვარი შრით დაფარული ქვები (წიდა?). უშუალოდ იატაკს ემჩნეოდა ცეცხლის კვალი და მოფენილი იყო ნახშირითა და ნაცრით.

ქურა წრიულია თიხაში ჩაჭრილი 0,50მ. სიღრმეში. მისი დიამეტრია – 2მ. ქურის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან სადინარის თუ საბერვლის ხვრელია, რომელიც გარეთ უნდა მიემართებოდეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან დაახლოებით 10-15სმ სიმაღლეზე იატაკიდან. გამოვლინდა ნახევრად რკალისებური თიხის საფეხური თუ ბაქანი, რომლის დანიშნულება ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. მისი სიგრძე – 0,70მ, სიგანე ცენტრში – 0,15მ, რომელიც შემდეგ კედლის გასწვრივ ვიწროვდება და ერწყმის მას. (ტაბ. V)

შესაძლებელია ქურები წარმოადგენდნენ მადნის პირველად გადამმუშავებელ ქურებს.

ქურების გაწმენდის პროცესში, მუშაობის ყველა ეტაპზე აღებულია ნიმუშები შემდგომი ლაბორატორიული კვლევესებისათვის.

3.3 ქურა N3

ქურა N2 ჩრდილო-დასავლეთით გაიწმინდა ნაცროვანი ფენა, რომლის დიამეტრი დაახლოებით 240სმ არის.ნაცროვანი ფენის აღებისას დაახლოებით 15-20სმ. სიღრმეზე გამოჩნდა ქვების გროვა.პრეპარაციის პროცესში ყოველ 7-15 სმ.ზე ხდებოდა ფოტო ფიქსაცია და აზომვითი სამუშაოები. მთლიანობაში ფოტო ფიქსაცია და აზომვითი სამუშაოები ჩაუტარდა 11 ფენას, რომელიც შემადგენლობისა და ფერის მიხედვით არაერთგვაროვანია. პირველ ეტაპზე 0 წერტილიდან დაახლოებით 50-60 სმ. სიღრმეზე გვხვდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვები და მოთეთრო-მონაცრისფრო თიხანარევი ფენა. ამოღებულ იქნა ასევე გამდნარი მინაგადაკრული პატარა და საშუალო ზომის ქვები. ქურის შიდა კედლებს ეტყობა მოლესილობის კვალი. 60-70 სმ. სიღრმეში თიხანარევი ფენა ფერს იცვლის და მოშავო ფერისაა, ქვების ზომეც დიდდება. მე-9 ფენის დამუშავებისა და დიდი ზომის ქვების აღების შემდეგ გამოჩნდა იატაკის კონტური, რომელიც სქელი ნაცროვანი ფენითაა დაფარული, დაახლოებით 15-20სმ. ნაცროვანი ფენის აღების შემდეგ დაფიქსირდა ქურის იატაკი, რომელიც ქვა-ღორღიანი ფენით არის წარმოდგენილი.იატაკის დონეზე ჩრდილო-აღმოსავლეთით დაფიქსირდა საჰაერო ღრმული (გვირაბი), რომელიც ნახევრად წრიულია და მიემართება ქურის აღმოსავლეთით მდებარე ხევისაკენ. სიგრძე დაახლოებით 80-120 სმ.სიგანე 40 სმ.სიმაღლე 20-30 სმ.

ქურის კედლები როგორც ადრე ავღნიშნეთ მოლესილია ერთგვარივანი ღორღნარევი მასით, რომელიც ცეცხლში გადახურების გამო გათეთრებულია. ქურის სიღრმეში კედლები უფრო მოშავო ფერისაა. ქურის ძირში აღმოსავლეთით საჰაერო გვირაბთან დაფიქსირდა გამომწვარი თიხის მასა, რომელიც მოთეთრო-მოყვითალო ფერისაა.ის გამოირჩევა სიმტკიცითა და სიმსუბუქით. აღებულ იქნა ნიმუშები შემდგომი ინტერდისციპლინარული კვლევებისთვის.

ქურის პარამეტრებია: დიამეტრი 205ს. სიღრმე 117სმ. (ტაბ.VI)

4.0 რეკომენდაცია

ქვემოთ მითითებულ GPS კოორდინატები, რომელიც მოიცავს VI, VII, XV, XVI, XVII, XXV, XXVII უბნებს თავისუფალია არქეოლოგიურ ობიექტებისაგან და შესაძლებელია შემდგომი საწარმოო და სამშენებლო სამუშაოობის დაწყება. (ტაბ. II)

წერილის N	კოორდინატები UTM (WGS84)	
	X	Y
1	448602.5	4582320.6
2	448495.5	4581873.6
3	448094.9	4581744.7
4	448217.4	4581617.0
5	448511.5	4581326.3
6	448781.8	4581410.3
7	449139.7	4581789.3
8	449143.6	4581885.0
9	448917.5	4582325.6
ფართობი გეგმაზე 569700 მ² ჰა		

6.0 ტაბულები

ტაბ. I არქეოლოგიური სამუშაოების არეალი უბნების მითითებით;
ტაბ. II ნებართვით გათვალისწინებული შესწავლილი ტერიტორია;
ტაბ. III ქურების განლაგების გენერალური გეგმა;
ტაბ. IV ქურა N1;
ტაბ. V ქურა N2;
ტაბ. VI ქურა N3;
ტაბ. VII სიტუაციური რუკა;



ᲨᲞᲡ „RMG gold“, ᲡᲐᲛᲫᲦᲘᲡᲘ, ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ (III ᲔᲢᲐᲞᲘ) ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲬᲕᲢᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

წერტილის №	კოორდინატები UTM (WGS84)	
	X	Y
1	448602.5	4582320.6
2	448496.5	4581873.6
3	448193.0	4581803.6
4	448217.4	4581617.0
	448493.3	4581537.6
6	448511.5	4581326.3
7	448781.8	4581410.3
8	449139.7	4581789.3
9	449148.6	4581885.0
10	448917.5	4582325.6

ᲬᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲒᲔᲒᲛᲐᲖᲔ 530800მ² (53.08 ᲰᲐ)


ნახ. II
III ეტაპით გათვალისწინებულ შესწავლილ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა
II
III
IV
V
VI
VII
XI
XII
XIII
XIV
XV
XVI
XXI
XXII
XXIII
XXIV
XXV
XXVI
XXXII
XXXIII
გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტი
სანაყარო №4
სანაყარო №3
გამოსატუტი გროვები
საყდრისი-2
საყდრისი-3-4
4582000
0447000
34000
პირობითი აღნიშვნები
საკონტროლო თხრილებით შესწავლილი ტერიტორია
დამრეცი კლდოვანი ქანები და სტერილური ნიადაგი;
არსებული ძეგლის დაცვითი ზონა;
0 100 200 300 400m

საქართველოს
არქეოლოგიური
ასოციაცია
ARCHAEOLOGICAL
ASSCOIATION
of GEORGIA

გენგეგმა



1 - 1



ტერიტორია:

სანაყარო 4 "ყაჩაღიანი"

ობიექტი: ქურები

უბანი: № XVI

ნაკვეთი: №7

GPS: X 4581992 X 4581993

Y 0448857 Y 0448863

H: 764 m

ნახაზი: გენგეგმა; განაკვეთი 1-1

სტადია: ანაზომი

მასშტაბი: 1 : 50 1 : 100

შეასრულა: მ. კასრაძემ

თ. ფიცხელაურმა

შესრ. თარიღი: 09-10; 2013წ.

ფურცელი: ა –

გეგმა

2 - 2



საქართველოს არქეოლოგიური ასოციაცია
ARCHAEOLOGICAL ASSCOIATION of GEORGIA

ტერიტორია: სანაყარო 4 "ყაჩაღიანი"	ნახაზი: გეგმა; განაკვ. 2-2 ;	პირობ. აღნიშვნები:
ობიექტი: ქურა №1	სტადია: ანაზომი	
უბანი: № XVI	მასშტაბი: 1 : 50	
ნაკვეთი: № 7	შეასრულა: მ. კასრაძემ	
GPS: X 4581992 Y 0448857; X 4581993 Y 0448863	თ. ფიცხელაურმა	
H: 764 m	შესრ. თარიღი: 09-10; 2013წ.	ფურცელი: ა –

გეგმა

3 - 3



საქართველოს არქეოლოგიური საზოგადოება Archaeological Asscoiation of Georgia	ტერიტორია: სანაყარო 4 "ყაჩაღიანი" ობიექტი: ძშრა №2 შანი: № XVI ნაკვეთი: № 7 GPS: X 4581992 X 4581993 Y 0448857 Y 0448863 H: 764m	ნახაზი: გეგმა; განაკვ. 3-3; სტადია: ანაზომი მასშტაბი: 1 : 50 შეასრულა: მ. კასრაძემ თ. ფიცხელაურმა შესრ. თარიღი: 09-10; 2013წ.	პირობ. აღნიშვნები: ფურცელი: ა –

ᏁᏐᏐ. VI

გეგმა





საქართველოს არქეოლოგიური ასოციაცია ARCHAEOLOGICAL ASSCOIATION of GEORGIA	ტერიტორია: სანაყარო 4 "ყაჩაღიანი"	ნახაზი: გეგმა; განაკვ. 3-3;	პირობ. აღნიშვნები:
	ობიექტი: ქურა №3	სტადია: ანაზომი	
	უბანი: № XVI	მასშტაბი: 1 : 50	
	ნაკვეთი: № 7	შეასრულა: მ. კასრაძემ	
	GPS: X 4581992 Y 0448857 X 4581993 Y 0448863	თ. ფიცხელაურმა	
	H: 764 m	შესრ. თარიღი: 09-10; 2013წ.	ფურცელი: ა –


ფ-11. VII
ქურების აღმოჩენის ადგილი 448848.08 m E; 4581969.00 m N
საყდრისი I
2 კმ
კაზრეთი
Image © 2013 DigitalGlobe
© 2013 Google
Image Landsat
Google earth